იგავი სოლომონ მეფეზე

როდესაც სოლომონ მეფე მთიდან ჩამოვიდა, სადაც მზის ამოსვლას შეხვდა, მთის ძირში შეკრებილებმა უთხრეს მას:

- შენ შთაგონების წყარო ხარ ჩვენთვის. შენი სიტყვები ჩვენს გულებს გარდაქმნის. შენი სიბრძნე კი გონებას გვინათებს. შენი საუბარი გვწყურია.

- გვითხარი, ვინ ვართ ჩვენ?

მან გაიღიმა და თქვა:

- თქვენ ხართ სამყაროს სინათლე. თქვენ ხართ ვარსკვლავები. ჭეშმარიტების ტაძარი ხართ. თითოეულ თქვენგანში სამყაროა. გულში ჩაუშვით გონება, ჰკითხეთ გულს, სიყვარულის მეშვეობით უსმინეთ. ნეტარნი არიან ღმერთის ენის მცოდნენი.

- რაშია ცხოვრების აზრი?

- ცხოვრება არის გზა, მიზანი და ჯილდო. ცხოვრება სიყვარულის ცეკვაა. თქვენი დანიშნულებაა აყვავება. **ყოფნა** – დიდი ჯილდოა სამყაროსთვის. თქვენი ცხოვრება სამყაროს ისტორიაა. და ამიტომ ცხოვრება ყველა თეორიაზე უფრო მშვენიერია. მოეპყარით სხოვრებას როგორც ზეიმს, რადგან ცხოვრება ღირებულია თავისთავად. ცხოვრება აწმყოსგან შედგება. აწმყოს აზრი კი იმაშია, რომ აწმყოში იყოთ.

- რატომ გვდევნიან უბედურებები?

- რასაც თესავდით, იმას იმკით. უბედურებები თქვენი არჩევანია. სისაწყლე ადამიანის ქმნილებაა. სიმწარე კი უმეცრების ნაყოფია. როდესაც ადანაშაულებთ, ძალას კარგავთ, ხოლო როცა ჟინი გაქვთ, ბედნიერებას ფანტავთ. გაიღვიძეთ, რადგან მათხოვარია ის, ვინც თავის თავს არ აცნობიერებს. ხოლო ვინც თავის შიგნით ღვთის სასუფეველი ვერ იპოვა, ის უსახლკარო. საწყალი ხდება ის, ვინც დროს ფუჭად ხარჯავს. ნუ ხდით ცხოვრებას უშინაარსოს. ბრბოს იმის ნებას ნუ აძლევთ, რომ მან თქვენი სული დაღუპოს. დაე თქვენს წყევლად არ ქცეულიყოს სიმდიდრე.

- როგორ გადავლახოთ უბედურებები?

- ნუ გმობთ თქვენს თავს. რადგან ღვთაებრივები ხართ. ნუ ადარებთ და ნუ აცალკევებთ. მადლობა თქვით ყველაფერზე. გიხაროდეთ, რადგან სიხარული სასწაულებს ქმნის. გიყვარდეთ თქვენი თავი, რადგან თავიანთი თავის მოყვარულებს ყველაფერი უყვართ. დალოცეთ საშიშროებები, რადგან გაბედულები ნეტარებას იძენენ. ილოცეთ

სიხარულში – და უბედურება გვერდს აგივლით. ილოცეთ, მაგრამ ნუ ევაჭრებით ღმერთს. და იცოდეთ, რომ ქება-დიდება საუკეთესო ლოცვაა, ბედნიერება კი საუკეთესო საკვებია სულისთვის.

- რა არის ბედნიერებისკენ მიმავალი გზა?

- ბედნიერია მოსიყვარულე, ბედნიერია მადლიერი. ბედნიერია დამშვიდებული. ბედნიერია ის, ვინც თავის თავში იპოვა სამოთხე. ბედნიერია ის, ვინც სიხარულში აჩუქებს და ვინც სიხარულით იღებს ჯილდოს. ბედნიერია მაძიებელი. ბედნიერია გამოღვიძებული. ბედნიერია ღმერთის ხმის მსმენელი. ბედნიერია თავისი დანიშნულების შემსრულებელი. ბედნიერია ერთიანობის შემცნობელი. ბედნიერია ღმერთის მზერის დამგემოვნებელი. ბედნიერია ჰარმონიაში მყოფი. ბედნიერია ის, ვისაც სამყაროს სილამაზეზე აეხილა თვალი. ბედნიერია ის, ვინც მზეს გაეხსნა. ბედნიერია მდინარის მსგავსად მდინარი. ბედნიერია ბედნიერების მისაღებად მზადმყოფი. ბედნიერია ბრძენი. ბედნიერია თავისი თავის შემცნობელი. ბედნიერია თავისი თავის შემყვარებელი. ბედნიერია ცხოვრებისთვის ხოტბის შემსხმელი. ბედნიერია ის, ვინც ქმნის. ბედნიერია თავისუფალი. ბედნიერია მპატიებელი.

- რაში მდგომარეობს სიუხვის საიდუმლოება?

- თქვენი ცხოვრება უდიდესი განძია ღმერთის საგანძურში. ღმერთი კი ადამიანის გულის ძვირფასულობაა. სიმდიდრე თქვენ შიგნით დაუშრეტელია, სიუხვე კი თქვენ გარშემო უსაზღვროა. სამყარო საკმაოდ მდიდარია იმისათვის, რომ ყოველი ადამიანი მდიდარი გახდეს. ამიტომ რაც უფრო მეტს გასცემთ, მით უფრო მეტს ღებულობთ. ბედნიერება თქვენი სახლის კარს არის მომდგარი. გაეხსენით სიუხვეს. და ყველაფერი ცხოვრების ოქროდ აქციეთ. ნეტარია ის, ვინც განძეული თავის თავში იპოვა.

- როგორ ვიცხოვროთ სინათლეში?

- სვით ცხოვრების ყოველი წამიდან, რადგან უცხოვრებელი ცხოვრება მწუხარებას ბადებს. და იცოდეთ, რაც შიგნითაა, ის გარეთაც არის. სამყაროს სიბნელე გულში არსებული სიბნელიდანაა. ადამიანი მზის თესლია. ბედნიერება მზის ამოსვლაა. ღმერთის მზერა სინათლეში განზავებაა. გონების განათება ათასი მზის ნათებაა. ნეტარია ის, ვისაც სინათლე სწყურია.

- როგორ მოვიპოვოთ ჰარმონია?

- იცხოვრეთ უბრალოდ. არავის ავნოთ. ნუ გშურთ. დაე ეჭვები წმენდნენ, დაე მათ უძლურობა არ მოჰქონდეთ. მიუძღვენით ცხოვრება

მშვენიერს. შექმენით შემოქმედების გულისთვის, და არა აღიარებისთვის. მოეპყარით ახლობლებს, როგორც გამოცხადებებს. გარდაქმენით წარსული და დაივიწყეთ იგი. ახალი შეიტანეთ სამყაროში. სიყვარულით შეავსეთ სხეული. გახდით სიყვარულის ენერგია, რადგან სიყვარული ყველაფერს ასულიერებს. სადაც სიყვარულია, იქ ღმერთია.

- როგორ მივაღწიოთ ცხოვრების სრულყოფილებას?

- ბედნიერი მრავალს გარდაქმნის. უბედურნი მონებად რჩებიან, რადგან ბედნიერებას თავისუფლება უყვარს. ჭეშმარიტად, სიხარული იქ არის, სადაც თავისუფლებაა. ჩასწვდით ბედნიერების ხელოვნებას. გაეხსენით სამყაროს და სამყარო გაგეხსნებათ. როდესაც დაპირისპირებაზე უარს ამბობთ, მბრძანებელი ხდებით.

და როცა ყველას სიყვარულით შეხედა, მან დაამატა:

- მაგრამ ჯერ კიდევ ბევრ რამეს გაგიხსნით მდუმარება... ოღონდ იყავით თავისთავადნი! იცხოვრეთ ჰარმონიაში! იყავით თავისთავადნი!